ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №55 სხდომის ოქმი

2011 წლის 14 ოქტომბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ღია აკადემიური კონკურსის გამოცხადება სრული პროფესორის თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებების მიხედვით: 1. კლინიკური ფსიქოლოგია; 2. სოციალური ნეირომეცნიერება; 3. ეკოლოგია; 4. ნეირობიოლოგია. 5. სამართალი; 6. მიკრობული ეკოლოგია; 7. ევოლუციური ანთროპოლოგია, ასევე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე - სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით;

2. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის "ცივი ომის შემსწავლელი ცენტრის" ფარგლებში აკადემიური კონკურსის გამოცხადება;

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

4. ზოოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევრის, ქეთო დავითაიას მონოგრაფიის "ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონაწილეობა პერფორირებული რქოვანას შეხორცებაში" გამოცემის საკითხის განხილვა;

5. მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში ამერიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის სრული პროფესორის, ლეონიდ მარგოლიზის მოწვევა „მოწვეული პროფესორის" სტატუსით;

6. ბიზნესის ფაკულტეტის ფარგლებში შემდეგი სასერტიფიკატო პროგრამების განხილვა და დამტკიცება: სასტუმროს მენეჯმენტი; მარკეტინგი და გაყიდვები სასტუმრო საქმეში; სასტუმროს ფინანსური მენეჯმენტი; ლოჯისტიკის და ინფრასტრუქტურის მართვა სასტუმროს საქმეში;

7. ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, თენგიზ ვერულავას განცხადების განხილვა დეკანის მოადგილის თანამდებობაზე გადაყვანისა და ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მიხეილ ბატიაშვილის კანდიდატურის განხილვის შესახებ.

8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 37-ე მუხლის

პირველი და მეორე პუნქტებში და 42-ე მუხლში ცვლილებების და დამატებების განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი მენაბდე;
5. გიგა ზედანია;
6. გიორგი ხიმშიაშვილი;
7. რევაზ სოლომონია;
8. ივანე მურუსიძე;
9. გიორგი ბახტაძე.

წლის 14 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - გამოცხადდეს 2011 წლის 17 ოქტომბრიდან ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე: სრული პროფესორის პოზიცია - კლინიკური ფსიქოლოგია, სოციალური ნეირომეცნიერება, ეკოლოგია, ნეირობიოლოგია, სამართალი, მიკრობული ეკოლოგია და ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე- სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით, შემოსული განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული;

2. **დადგინდეს** - 2011 წლის 19 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის "ცივი ომის შემსწავლელი ცენტრის" ფარგლებში სრული პროფესორის პოზიციაზე საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევების მიმართულებით, შემოსული განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული;
3. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის დებულება და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;

4. **დამტკიცდეს** - გათვალისწინებულ იქნას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 28.09.11№02-10848/11 რეკომენდაცია და უნივერსიტეტის გამომცემლობას დაევალოს, უზრუნველყოს ელექტრონულად ზოოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევრის, ქეთო დავითაიას მონოგრაფიის "ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონაწილეობა პერფორირებული რქოვანას შეხორცებაში" გამოცემა;
5. **დამტკიცდეს** - მოწონებულ იქნას მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფ. გიორგი მენაბდის ინიციატივა (11.10.11№02-11370/11) და მოწვეულ იქნას ,,მოწვეული პროფესორის" სტატუსით ამერიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის სრული პროფესორი, ლეონიდ მარგოლიზი.
6. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას (3.10.11№03-13929/11) რეკომენდაციის გათვალისწინებით, დამტკიცდეს ბიზნესის ფაკულტეტის ფარგლებში სასერტიფიკატო პროგრამები: სასტუმროს მენეჯმენტი; მარკეტინგი და გაყიდვები სასტუმრო საქმეში; სასტუმროს ფინანსური მენეჯმენტი; ლოჯისტიკის და ინფრასტრუქტურის მართვა სასტუმროს საქმეში;
7. **დამტკიცდეს** - გაეწიოს ბიზნესის ფაკულტეტს რეკომენდაცია ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, თენგიზ ვერულავას დეკანის მოადგილის თანამდებობაზე გადაყვანისა და ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მიხეილ ბატიაშვილის კანდიდატურის განხილვის შესახებ.
8. **დადგინდეს** - დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 37-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და 42-ე მუხლის ცვლილებების და დამატებების პროექტი წარმოდგენილი სახით.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

მაია თევზაძე